მრგვალი მაგიდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე

22 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალში მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრის თემა იყო □□□□□□□□□□□□□□ თვითმართველობის არჩევნები. □□ მოწვეულები იყვნენ ბათუმში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის, მედიის, ოპოზიციური პარტიებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები, ასევე პრესსამსახურების თანამშრომლები, უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია და ქალაქ ბათუმის მერიის წარმომადგენლები. სახელისუფლებო გუნდიდან შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღეს მმართველი პარტიისა და მერიის წარმომადგენლებმა.

შეხვედრაზე საუბარი იყო მომავალ არჩევნებზე და ცესკოს განკარგულებებზე. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს სხვადასხვა სახის დარღვევებზე, რომლებიც წინასაარჩევნო აგიტაციას ახლავს თან. ორგანიზაცია [redacted] არჩევნების A წარმომადგენელმა ისაუბრა სიებთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ.

ბათუმში ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის არჩევნების თემაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალში 26 სექტემბერს ტრენინგი გაიმართება.